№ 99

ოთხშაბათი, 13 მაისი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 99

ოთხშაბათი, 13 მაისი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

11 მაისს, საღამოს 9 საათზედ, უეცრად გარდაიცვალა

## ალექსანდრე სოლომონის ძე რონაშვილი

ამითი იუწყებიან ნათესავნი, ნაცნობნი და მეგობარნი, რომ მ ცვალებულის გვამი განსვენებულ იქმნება პარასკევს, 15 მაისს, დილის 10 საათზედ, მისის სადგომიდგან (ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა) ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.

პანაშვიდები პარასკევამდე ყოველ დღე იქმნება გარდახდილი ნაშუადღევის 1-სა და საღამოს 8 საათზედ. (2—ნ.—1)

# საქველ-მოქმედო ბაზარი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია 23, 24 და 25 მაისს

თავად-აზნაურობის (არწრუნისეულს) ქარვასლის ბაღში.

ვაჭრობა დაიწყება დილის 10-ს საათზე და გათავდება საღამოს 8 საათზე.

ვაჭრობის დროს დაუკრავს მუსიკა.

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კ. (უ.)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

# ბუნება და ცხოვრება

ილ. ალხაზიშვილისა

**ფასი 60 კაპ.**

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ.

ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—2)

„კრებულის“ რედაქციისაგან

„კრებულის“ № IX-ის (მაისის) დაბეჭდვა აკაკის ავადმყოფობის გამო დაგვიანდა და მხოლოდ ამ თვის უკანასკნელ რიცხვებში გამოვა. (3—2)

17 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში

დანიშნულია

**ჩვეულებრივი წლიური კრება**

ქართველთა საღებ-მიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა“.

კრებას წარედგინება განსახილველად წლიური ანგარიში ამხანაგობის საქმეებისა, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1898 წლისა და ცალკე მოხსენებანი შესახებ ამხანაგობის ზოგიერთ საქმეებისა.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

რადგანაც წლიური საზოგადო კრება **„ქართველ ქალთა ამხანაგობის“ წევრთა** 9 მაისს არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, ამიტომ კრება დანიშნულ იქმნა 16 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზედ, ფედოროვის სახლში, № 10.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა 1897 წელს.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

3) მოხსენება გამგეობისა სახელოსნო სკოლის გაუმჯობესების შესახებ.

4) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1898 წლისა.

5) მოხსენება ალებ-მიცემობის შესახებ.

6) გამგეობის ოთხის წევრის არჩევა. (4—უ.—2)

## წლიური საერთო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა

დანიშნულია 13 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველი იქნება შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1897 წელს.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიურის ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

5, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრებისა.

6, არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარის და გამგეობის წევრთა. (3—უ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

# ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**კლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე ხნეჭკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

(50—80—12).

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძა მისის უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის ყაზახთა რაზმის ესაულს თავად ივანე სუმბათაშვილს—პოლკოვნიკობა.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უბოძა ორდენი წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხისა: თერგის ყაზახთა ჯარის პირველ სუნჟენ—ვლადიკავკავის რაზმის პოდესაულს ვასილ ხეთაგურს და ქალაქ გროზნის პ ოლიციის ბოქაულს, პორუჩიკს გიორგი შავგულიძეს.

ებოძა სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ნადვორნი სოვეტნიკობა —ქალაქ გუმბრის ციხე-საწყობის გამგეობის უმცროს მკურნალს ალექსიმესხიშვილს.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უბოძა ვერცხლის მედალი „ერთგულებისათვის“ ზედ-წარწერით ყელზედ ჩამოსაკიდებლად, ქუთაისის საპატიმროს კომიტეტის დირექტორს, მეორე გილდის ვაჭარს, მარდახა ციციაშვილს და ვერცხლის მედალი „განსაცდელისაგან გადარჩენისათვის“ ზედ წარწერით, გულზედ სატარებლად, ტფილისის მცხოვრებელს ივანე წერეთელს.

# ახალი ამბავი

—

*** გავახსენებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს, 13 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დანიშნულია წლიური საერთო კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა.

*** გუშინ, ნაშუადღევის პირველ საათზედ, პანაშვიდი იქმნა გარდახდილი ახლად გარდაცვალებულის ალექსანდრე რონაშვილის სულის მოსახსენებლად ხარაზოვის სახლებში, ერევნის მოედანზედ, სადაც განსვენებულის ფოტოგრაფია იმყოფებოდა. პანაშვიდს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

*** გაზ. „კავკასს“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი და მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი მიცკევიჩი პეტერბურგიდგან 20 მაისს გამოემგზავრებიან კავკასიისაკენაო. ერთს დღეს სად. ტიხორეცკაიაში დაჰყოფენ და შემდეგ წამოვლენ კავკავის სამხედრო გზით ტფილისისაკენ.

*** რადგანაც საბჭომ ამას წინად გადასწყვიტა ქუჩები საუკეთესო ქვით მოიკირწყლოს ისე, როგორც საზღვარ-გარეთა ჰკირწყლავენ, და რადგანაც ეს ქვა საზღვარ-გარეთიდგან უნდა გამოიწერონ, ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, რომ ეს ქვა შემოსატანის გარდასახადისაგან განთავისუფლებულ იქმნას.

*** პარასკევს, 15 მაისს, მოხდება კრება საბჭოს კომისიისა იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, თუ სად უნდა იქმნას გამართული ელექტრონის სადგური ქალაქის გასანათებლად.

*** ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების დირექციამ განიზრახა ზაქათალის საქალაქო სასწავლებლის პანსიონის გაუქმება, რის გამოც ზაქათალის მცხოვრებელთ შუამდგომლობა დაუწყიათ, რომ ნუ გააუქმებთ ხსენებულს პანსიონსაო.

*** ორშაბათს, დილის 10 საათზედ, ოლქის სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი დუმბაძის საქმის შესახებ, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ მასწავლებელ ქალის შმაკოვის მოკვლა განიზრახა და ამ აზრით რამდენჯერმე ესროლა რევოლვერიო. განაჩენით გამოცხადდა, რომ ბრალდებულმა, ქუთაისის გუბერნიის სოფ. შემოქმედის მცხოვრებელმა, აზ. დიმიტრი მოსეს ძე დუმბაძემ განიზრახა კლავდია შმაკოვის მოკვლა სულით ავადმყოფობის პირველ ხანის დროს და ამიტომ იგი გამართლებულია სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების მე-771 მუხ. 1 პუნქტ. თანახმად, მხოლოდ სასჯელ თა დებულ. 95 მუხლ. ძალით დუმბაძე უნდა დაპატიმრებულ იქმნას სულით ავადმყოფთა სახლში, საიდგანაც არ უნდა იქმნას გამოყვანილი უმაღლესს მთავრობის ნება დაურთველად. დუმბაძეს, როდესაც გამოაცხადეს, რომ სულით ავადმყოფობისა გამო გამართლებულ იქმნაო, მუხლთ მოეკვეცა და სკამზედ დაეცა, ხელები თავში იტაცა და ტირილი დაიწყო. სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით დუმბაძეს ვალერიანის კაპლი მიაშველეს, თავი დაუსველეს და დარბაზიდგან გაიყვანეს. ამ საქმის გარჩევის დაწვრილებით ანგარიშის ბეჭდვას, დღეიდგან ვიწყებთ.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში კერძო საჩივარი შეუტანიათ იმის შესახებ, რომ მკურნალი მარკოზოვი დედასს აზრდოს არ აძლევსო.

*** როგორც სავაჭრო პოლიციის ზედამხედველის ბ-ნ ჯაბადარის მიერ შეკრებილის ცნობებიდგანა სჩანს, 10 მაისისათვის ტფილისის საწყობებსა, წისქვილებსა და რკინის გზაზედ ფქვილად და ხორბლად პური ყოფილა სულ რუსეთისს 18,265 ფუთი, ადგილობრივი ფქვილი 11,220 ფუთი, წისქვილებში ხორბლად 14,160 ფუთი, სიმინდის ფქვილი 620 ფუთი და სხვა, სულ-კი 53,000 ფუთამდე. ტფილისს ორთა შუა რიცხვით დღეში 6000 ფუთი ფქვილი სჭირდება.

*** რადგან ტფილისის ყასბების თავ-გასულობას ბოლო არ მოეღო და ხორცს მუდამ ძვირადა ჰყიდიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ნიხრითაა დადგენილი, ამიტომ ტფილისის ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სავაჭრო პოლიციის უფროსს ზედამხედველს, რომ განათავისუფლე სავაჭრო პოლიციის ყველა აგენტები დილის 6—10 საათამდის სხვა საქმისაგან და დაავალე ყასბების დუქნებთან დგომა, რომ არავინ ყასაბთაგანმა ნიხრით დადგენილზედ ძვირად არ გაჰყიდოს ხორცი.

⁂ 10 მაისს, დილის 10 საათზედ, მეიჯარადრე ავაქოვის უფროსმა მუშამ, რაჭველმა თომა ლებანიძემ, კალმის დანით თავი მოიკლა.

⁂ იმავე დღეს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, მალაკნების სოფელთან ტფილისში მომავალ საქონლის მატარებელზედ შემხტარა რაჭის მაზრის მცხოვრებელი გ. საგანელიძე, მაგრამ იმის ჩოხის კალთა ვაგონის თვალს მოსდებია და თვით საგანელიძე ვაგონ ქვეშ შეუთრევია. მატარებელმა საგანელიძეს ორივე ფეხი მოსწყვიტა.

⁂ ბაქოს საგუბერნიო სამმართველომ გააუქმა თურმე ბაქოს პოლიცმეისტრის განკარგულება იმის შესახებ, რომ ებრაელთ თავიანთ დუქნების განცხადებებზედ ნამდვილი თავისი ებრაული სახელი და გვარი დააწერონ ხოლმეო.

⁂ ორშაბათს, 11 მაისს, დილით ალსტაფის გზით ოსმალეთში გაისტუმრეს 49 სომეხი. ამ დღეებში გაისტუმრებენ იმ სომეხთაც, რომელნიც ოსმალეთში მომხდარ არეულობის დროს გადმოსახლდნენ ამიერ-კავკასიაში.

⁂ სოხუმიდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმ.“, რომ სოხუმის ეპისკოპოსმა, ყოვლად სამღვდელო არსენიმ მოსთხოვა თავის ეპარქიის მღვდლებს წარმომიდგინეთო: 1) იყო თუ არა ეკკლესიაში წირვა ლოცვა? 2) თუ არ იყო რა მიზეზით? 3) რამდენი ქალი და კაცი დაესწრო ლოცვას, ცისკარსა და წირვას. 4) მათ შორის რამდენი ბავშვი იყო, სკოლის მოსწავლეების გარდა? 5) რამდენი მცირე წლოვანი ეზიარა? 6) ცნობები მოსწავლეების შესახებ, დაიარებიან ეკკლესიაში, თუ არა? 7) თვეში რამდენჯერ გარდაახდევინეს მღვდელს პანაშვიდი, პარაკლისი და წირვა? 8) უთქვამს თუ არა ეკკლესიაში მღვდელს ქადაგება და თუ უთქვამს, თავისი თხზულება იყო, თუ სხვისი. ყველა ეს ცნობა მღვდლებმა წელიწადში ორჯელ უნდა წარუდგინონ ეპისკოპოსს.

⁂ სიღნაღი. 9 მაისს აქ და მახლობელ სოფლებში სეტყვა მოვიდა. დიდად დააზარალა სოფ. მაღარო, ბოდბე, საქობო, მაშნაარი და ასანური.

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ბაზრობას შემოსწირეს: მარიამ ბეჟანის ასულმა ორლოვისამ—ერთი ნაკერი პორტფელი და ერთი ბალიშის პირი; დარია დიმიტრის ასულმა გძელიშვილისამ—ერთი იაპონიური ფოდნოსი, ერთი ნივთების დასაწყობი ალუმინისა, ალუმინისვე დუხის შუშა და ერთი სტოლის დასამშვენებელი ნივთი; ეკატერინე ივანეს ასულმა პავლოვისამ—ალუმინის 6 კოვზი; სვიმონ ნამორაძემ—ერთი ჯეჯიმ გადაკრული სკამი; ეკატერინე ნიკოლოოზის ასულმა ყიფიანისამ—ერთი თავზედ მოსახვევი კასინკა; ანნა ალექსანდრეს ასულმა ყიფიანისამ—ერთი ვაზა და ერთი წყვილი ოქრო-მკედით ნაკერი ტუფლები; მარგარიტა ლუკას ასულმა მამაცაშვილისამ—ერთი წყვილი ნაკერი ბალიში; ქეთევან ლუარსაბის ასულმა ჟურულისამ და ნინო დურმიშხანის ასულმა მაკარაშვილისამ—ერთი ვაზა, ნაკერი ბალიშის პირი, ორი წყვილი ჩულქი და სხვა ნივთები, სულ 13 ნაჭერი.

ანნა პავლიაშვილის მიერ შეკრებილი ნივთები ქ. გორში: ნაკერი ტუფლები—ა. მ. რომანოვისაგან, ხავერდის შალი—ნ. ოთარიძესგან, ორი ბავშვის კაბა—ნ. კიკნაძესგან, ჭიქის ჩასადგმელი—ალექსანდრე კიკნაძისგან, ნაკერი ლეჩაქი—ს. სეკმანოვისგან. გახამებული საყელო და მაჯები—ალ. შიხინოვისგან. ექვსი ცხვირის ხელსახოცი—ილ. ივ. ნატროშვილისგან. სურათების ჩასაწყობი შირმა—გ. ი. ტერ-აკოფოვისგან. დახატული ხის ყუთი—მ. ს. ხითაროვისგან. ფინჯანი და წყვილი ყვავილების ჭიქა—ე. ს. ტერ-სტეფანოვისგან. ფინჯანი და პერანგის ღილები—კნ. ნ. ბექთაბეგოვისგან. ფინჯანი და მურაბის ლამბაქი—კნ. ი. ჩ. ერისთავისგან. წყვილი მურაბის ლამბაქი—ე. ვ. გულიშამბაროვისგან. ორი მარაო—ა. გრიქუროვისგან. ორი ჩილის ლამბაქი—ო. გ. ყანჩელისგან. სასუხრე და ნაკერი ოქრომკედით თავსაკრავი—ე. გ. სამთლიკუდოვისგან. ფოჩტის ფერადი ქალაღდები და სამი შანდლის ძირები დახატული—ა. ი. პავლიაშვილისაგან. ხის კოლოფი—№№. ქ. ტფილისში: ფარფორის კალათა—ვ. ხ. ტერიშვილისგან. ხელ-თათმანების ყუთი—ტერიშვილისაგან. ალექსანდრა რატიშვილისაგან ექვსი ნაჭერი ნაკერი სამუთაქე.

## წერილი დ. ცხინვალიდგან

4 მაისი

ბევრი რამ ითქმის ცხინვალის შესახებ, მაგრამ, რადგან რომელ საგანსაც გადაავლებთ თვალს, არც ერთი სანუგეშო არ იქნება, ამიტომ ადამიანმა აღარ იცის საიდგან დაიწყოს. თუ ამ ორის წლის წინად ცხინვალს ეტყობოდა რამე და დაეტყო სიცოცხლე, შემქნა მოძრაობა სხვათა მიბაძვით, მადლობელნი უნდა ვიყვნეთ ისევ მ. გუგუშვილისა. გადაიყვანეს თუ არა იგი აქედგან, დ. ცხინვალიც მიეცა თავისებურს ძველებურს ღრმა საღათას ძილს. ისევ ის სიბინძურე, სიმყრალე, ისევ ის უწეს-რიგობა, უთავბოლობაა. რაიცა შეეხება სამკითხველო წიგნთსაცავს, იგი ხომ, როგორც ადრეც მოგახსენეთ, აღარ არსებობს, წყალობითა ცხინვალის ინტელიგენტთა და განისვენებს წიაღსა შინა აბრაამისასა. მართლაც და საკითხავია: ცხინვალში არიან კი ინტელიგენტნი?!? ვეჭობ, რადგან რიგიანნი ინტელიგენტნნი არსებულს სასარგებლო საქმეს არ მოუღებდნენ ბოლოს, არამედ, ნახავდნენ რა სულთ მობრძავს საქმეს, დახელოვნებულს ექიმს მოჰგვრიდნენ და გაჰკურნავდნენ!.. საბრალო ცხინვალი წინსვლის მაგივრად უკან მიდის და დღეს თუ ხვალ უფსკრულის პირად მივა უმეცრების მორევში ჩასანთქმელად...

წყალობითა ღვთისათა და ცხინვალის მზრუნველთა დღეს თუ ხვალ ხიდსაც დიდი ლიახვი სალიანისაკენ გააქანებს და მერე იცეს თავში ქვა ბეჩავმა ხალხმა, იწყვიტოს წელი და თუ სიარული უნდათ, გააკეთონ კიდეც. პატარა ლიახვის ხიდისა არ იყოს: ბ-ნ მ. გუგუშვილის წყალობით ხალხს ძლივს ხიდი ეღირსა, გადარჩა დარჩობას, მაგრამ აღარ არის ბ-ნი გუგუშვილი და ხიდიც იმას მისდევს. წარსულის წლის დიდმა წყლიანობამ იგი დააზარალა და დღესაც ისევ-ისეა დაზარალებული. არ აღმოჩნდა ადამიანი, რომ იგი შეეკეთებინა. რა თქმა უნდა, დღეს თუ ხვალ ბოლო მოეღება და ჩავარდება ხალხი ძველებურს ჭირ-ვარამში. როგორც ვიცით ნამდვილის წყაროდგან, ამ ხიდის სასარგებლოდ ცხინვალში წარმოდგენაც გაჰმართეს, საკმაო ფულიც შემოვიდა, რათა ხიდი შეეკეთებინა იმდენად, რომ სულ არ დაღუნულიყო, მაგრამ, მაგარი ის გახლავთ, რომ ქართველებს სიტყვა ბარაქიანი გვაქვს, ბაქი-ბუქი დიდი ვიცით და საქმე კი არსადა სჩანს. მკითხველმა იქნება იკითხოს, რას აკეთებენ ცხინვალელებიო?!. რას აკეთებენ?! რა უნდა გააკეთონ იმის მეტი, რასაც აკეთებენ?!. მაგალითად, ქალალდსა თამაშობენ, ნარდს აგორებენ, ლოტოს აჩხაკუნებენ, ბებრები ყმაწვილებზედ სთხოვდებიან და ბავშვები ბებრებს ირთავენ. ეს გახლავთ ჩვენებური წარმატება, განათლება—პროგრესი. ჰმ, „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი“?!.

ვინც გგონივართ, ის არა ვარ

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

17 აპრილი.

„ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა. ყველა შენი მიმდევარი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა“. ეს დიადი სიტყვები ყოველ თავისს სიძლიერით ხდება დღეს ოსმალეთზედ. დღეს თითქმის მთელი ქვეყანა ერთის აზრით არის განმსჭვალული. საერთო კავშირი მუშათათვის. ევროპიელი მუშა ამბობს: თუ კი მე მონა ვარ მექარხნისა, ეს სულ ერთია, მექარხნე ჩემი გვარისა იქმნება, თუ სხვისიო. ასეთივე აზრი ტრიალებს ბურჟუასა და დიდ მემამულეთა შორისაც. ოღონდ ფული მოვიგოთ და რას დავეძებთ, საცა უნდა ვიყვნეთო. ეს ისტორიული პროგრესი გვითვალისწინებს შემდეგს მოვლენას. დადგება ქვეყანაზედ ის ხანაც, როცა ორი, დღეს სრულიად ერთმანეთის წინააღმდეგი ტომი ძმურად და მეგობრულად გადაეხვევიან ერთმანეთს. მაგრამ სად? ყველგან გარდა ოსმალეთისა. რისთვის? მისთვის, რომ ეს ტომი კი არ არის, არამედ რჯულია. დიახ, მარტო რჯულია და ისეთიც, რომ მას ურჩევნია უკანასკნელი მონის მონა იყოს, ...

# ფელეტონი

### ნაწყვეტი

ჩარჩ-ბაცაცავ, გეტყვი მართალს,
მოსმენას ნუ დაგვამადლი:
ვისაც მრუდედ უხმარია
სასწორი და არშინ-ადლი,
მუშებს გვერდზედ მისჯდომია
სახრავადა, ვით ყველს მატლი,
მას ჯოჯოხეთს გაამგზავრებს
ოთხის სახარების მადლი...

გუჯუ

### გელა

(პატარა სურათი თუშების ცხოვრებიდგან)

(დასასრული *)

IV

იქ, სადაც წინაგორის მთა თავდება, გზა უხვევს მარჯვნივ და გადის ერთ წელ ფერდოზე ვიწრო ბილიკით. აქ ისეთი ვიწრო გზაა, რომ თითო თითოდ თუ არა, ორ-ორის ან ცხენოსანისა, ან ქვეითისა შეუძლებელია ერთად გასვლა, ბილიკის ზემოდგან რაკი სულ ჩაკიდული ხშირის ტყით მობურული ფერდოა და ქვეშ-კი მოჰქუხს ბაწარის ხევი. თვით ხევი ამ ალაგას ძალიან ვიწროა, მობურული ქალწულის ტყით. უზარ-მაზარი, ერთი-ერთმანეთში გახლართ-ულ შტოებიანი ხეები აბნელებენ იქაურობას. მგზავრი იმ ალაგას ცას თითქმის ვერა ჰხედავს.

ჩამოვიდა გელა ამ ხევში და გადმოვიდა ამ ბილიკზე თუ არა, მარცხენა ტყის სიხშირიდგან უცბად იჭექა თოფმა. ტყვიით განგმირული გელა გადავარდა ცხენიდგან ძირს. გამოცვივდნენ ტყის ჭალაში ჩასაფრებული ლეკები ხმლებითა და ხანჯლებით. ლეკების დანახვაზედ კივილით მისცვივდნენ პეტრე და ალექსი დედას. ლეკები მიეშურნენ დასატყვევებლად. მიუახლოვდნენ ლეკები თუ არა, პეტრე გაიქცა ტირილით ტყეში და ალექსი-კი მოეხვია დედას. ერთი ლეკი დაედევნა პეტრეს დასაჭერად და დანარჩენები-კი მივარდნენ დედა და შვილს. დედამ მიიკრა გულში საყვარელი შვილი და თავ-განწირულად შეებრძოლა ლეკებს, მაგრამ რას გაუხდებოდა ღონით სუსტი ქმნილება!.. ერთმა ლეკმა წაატანა ალექსის ხელი, უნდოდა გამოეგლიჯა დედის გულიდგან, მაგრამ დედა მიეტანა ლეკს და ისე უკბინა მკლავში, რომ მხეცმა საშინლად დაიღრიალა. გაცოფებულმა ლეკმა კიდეც აღმართა მახვილი, რომ ბოლო მოეღო თავ-განწირულ დედისათვის, მაგრამ ამხანაგმა შეაჩერა.

— დაიცა, ნუ მოჰკლავ!..

— არ მოვკლავ, დაიღრიალა გამწვავებულმა ლეკმა და ამ სიტყვებით დაჰკრა თავში ყუით ხმალი საბრალო დედას.

— ოჰ, წყეულებო!.. პეტრე... ალექსი... ვაიმე შვილებო, წამოიძახა უბედურმა დედამ და გულ-მიხდილი დაეცა მიწაზედ.

გამოჰგლიჯეს დედას ხელიდგან ალექსი და ამ დროს პეტრეც მოჰყავდა ლეკს მუჯლუგუნის ცემით.

— ნულარ ვიცდით, სთქვა ბელადმა ლეკმა, წავიდეთ, თორემ თუ მოგვასწრეს თუშების დარაჯებმა, ცუდად წავა ჩვენი საქმე.

— ამ ცხენებს და ბარგს რაღა ვუყოთ? მიუბრუნდა ერთი ლეკი ბელადს.

— თავი უნდა მივანებოთ. ცხენები დაგვაბრკოლებენ, უგზო-უკვლოდ მოგვიხდება სიარული.

— მაშ ისე გაუშვათ?

— რათა, სთქვა ბელადმა, ცხენებს კოჭები დააჭერით და ბარგიანად ხევში გადაყარეთ, მხოლოდ ჯერ რამე საჭმელი ამოიღეთ ხურჯინებიდან, საგზაოთ დაგვჭირდება *).

მისცვივდნენ ლეკები და დაუშინეს ხმლები და ხანჯლები ცხენებს კოჭებში და შემდეგ ბარგიანად გადაჰყარეს ხევში საცოდავი პირუტყვები.

— მაგ თუშის გოგოს რაღა ვუყოთ? დაეკითხა ერთი ლეკი ბელადს, როდესაც დააპირეს წასვლა.

— განა ცოცხალია ისევ? გაკვირვებით წამოიძახა ბელადმა.

— როგორ არა, ცოცხალია. სასიკვდილოდ მაგაზედ იარაღი არავის არ უხმარია.

— მე მკვდარი მეგონა. მაშ რადა წევს ასე გაჩუმებული?

— შვილს არ გვანებებდა, საშინლად წიოდა და კბილებით კინაღამ არ დაგვჭამა...

— ბიჭის ხელიდგან გამოსაგლეჯათ მივეტანე, გააწყვეტინა იმ ლეკმა, რომელსაც მკლავი ჰქონდა ნაკბენი, და ისეთი მიკბინა მაგ წყეულმა მკლავში, რომ კინაღამ არ მომგლიჯა. გაბრაზებულმა მეც ყუით თავში ხმალი დავარტყი და მას შემდეგ გულ მიხდილი გდია.

კაცებზედ უარესი ძაღლები არიან თუშის გოგოები, კბილის ღრჭენით წარმოსთქო ბელადმა.

— თუ ცოცხალია, მაშ ტყვედ წავიყვანოთ, სიხარულით წამოიძახა ერთმა ლეკთაგანმა.

— ეჰ, რათ გვინდა, გააწყვეტინა ბელადმა. უბრალოდ დაგვაბრკოლებს. ძაღლები არიან ეგენი. სუკბილით დაგვჭამს და წივილით ააქოთებს აქაურობას. მაგისაგან ხეირს ვერა ვნახამთ; პურის ჭამის მეტს არას გაგვიკეთებს. ბევერია, თუშებიც არ გამოისყიდიან და სხვა ხომ ორ შაურსაც არავინ არ მოგვცემს... სთქვა ეს ბელადმა და დააშურა ამხანაგები. ერთმა ლეკმა პეტრეს მოავლო ხელი, მეორემ ალექსის და აჩქარებით გაუდგნენ გზას.

— ვაიმე!.. ვაიმე! მორთეს საშინელი ბღავილი ბავშვებმა, მაგრამ მუჯლუგუნის ცემით ჩქარა ჩააკმედინეს ხმა.

გაიარეს რამდენიმე მანძილი ლეკებმა თუ არა, საშინელი კივილი მოესმათ.

ალექსის და პეტრეს დედა გონს მოვიდა, აიხედა: პეტრე.. ალექსი!.. დაუძახა შვილებს და, როს პასუხი არ მიიღო, წამოვარდა თავ-პირ სისხლიანი, თმა გაწეწილი, დაგლეჯილ დაფხრეწილი გაიქცა, ბილიკზე შესდგა უცბად, გაიხედ-მოიხედა: პეტრე... ალექსი... სადა ხართ... ვაიმე შვილებო!.. აქ თვალი მოჰკრა გელას, რომელიც მკვდარი თავისს სისხლში სცურავდა თავ-გაპობილი. „გელა... გელა!.. ვაი ჩვენ თავს!..“ ერთი საშინლათ დაიბღავლა და გულ-მიხდილი დაეცა ქრმის გვამზედ...

— ბაწარის წყალი აღელდა. გაშმაგებული სცემდა ტალღებს, თითქოს მთლად დანგრევა უნდოდეს

*) იხ. „ივერია“ № 98.

*) თუშები ლაპარაკობენ, რომ შემდეგ ვნახეთ წყალში გადაყრილი კოჭებ-დაჭრილი ცხენებიო.

პუროდ დარჩეს, ოღონდ სხვა რჯულის კაცს არ გაუამხანაგდეს, არ გაუტოლდეს. აგერ მეხუთე საუკუნე სრულდება, რაც ესენი ევროპაში არიან და ჯერ კიდევ ისე შორს არიან ევროპიის აზრისა და მიმართულებისაგან, როგორც დედამიწა ზეცისაგან. ტყუილად კი არა სთქვა ოსმალეთის გამოჩენილმა რეფორმატორმა ახმედ მითხად ფაშამ, როცა ყელში თოკი წაუჭირეს და ახრჩობდენ: უფრო ადვილად შესაძლებელია ევროპამ მარსის (მარიხი) მცხოვრებლები გაიცნოს და დაუკავშირდეს, ვიდრე ოსმალოს მაჰმადიანებმა ევროპიის ცხოველ-მყოფელი პროგრესიო!

ყველას ახარებს, ახალისებს და აახლებს, ჯანსა და ღონეს უორკეცებს გაზაფხული და ოსმალებს-კი ციებ-ცხელებასა და განსაცდელში აგდებს. გაზაფხულდა, გაცოცხლდა და ამოძრავდა ბუნება, ოსმალეთისათვის საშინელმა ქარიშხალმაც იჩინა თავი. აირია მონასტერი — მაკედონიაში იფეთქა არეულობამ და სტამბოლსაც მოაწვნენ სხვა-და-სხვა ადგილებიდგან სომხები, ბერძნები, ახალ-თურქთა დასნი და სხვანი... შეიქნა ისევ ფაცა-ფუცი და დავიდარაბა. აყაყანდნენ-მოლები, გაიღვიძეს პოლიტიკოსებმა, გაივსო ქუჩები ჯაშუშებით, პოლიციელებით და ჟანდარმერიით. ეს ერთის მხრით შავს დღეს აყენებს ოსმალეთის სვე-ბედს და მეორე მხრივ-კი ის უკულმართი კრიტი კიდევ იმ უმწეო მდგომარეობაში არის. რომელ ერთს გაუგონოს ოსმალეთმა. გერმანია-ავსტრიას, თუ რუსეთს, თუ არც ერთსა და არც მეორეს. აი თავ-საცემი საქმეები. დაუჯეროს რუსეთს და მიიღოს მისი ოთხი წინადადება: განათავისუფლოს გემები, მიიღოს კრიტის გუბერნატორად თავადი საბერძნეთისა გიორგი, დასთვალოს საბერძნეთიდგან მისაღები სამხედრო ხარჯი რუსეთის ვალად, მიანიჭოს მაკედონიას თვით მმართველობა?!. ყველასა იქმს დღეს ოსმალეთი, ამ ზემო ჩამოთვლილს საგნებს აუსრულებს რუსეთს. დიაღ ეს იმისთვისაც არ იქნებოდა საძნელო, მხოლოდ ვინ არის იმის თავმდები, რომ ეს საკმარისი იქნება და სხვას კიდევ არას მოსთხოვენ, ვინ არის თავმდები, რომ ეს მოთხოვნილება უკანასკნელი იქმნება, — რასაკვირველია, არავინ. აქაური ნოტაბლ-დიპლომატები ამბობენ, რომ თუ სასიცოცხლო პირი აღარა გვაქვს, სჯობს ან მოვკვდეთ და ან მოვრჩეთ, ყოველთვის ავადმყოფობაში რა სიცოცხლეაო.

ყველა ამ მოსაზრებას ეხლა ეს ამერიკა-ესპანიის საკვირველი ამბებიც ზედ დაერთო. აი აგერ, — გაიძახიან ბუნების შვილნი: ესპანია ერთი ბეწოა ამერიკასთან შედარებით, მხოლოდ უომრად არას უთმობს არავისო, ჩვენც ასე უნდა ვქნათო და სხვა... დიახ ეს ასეაო ეუბნებიან ბუნების შვილებს დიპლომატები ილდიზ-კიოსკიდგან, მაგრამ დღევანდელს დეპეშებს რაღას აწერთ, რომ ესპანიის დედოფალი შვილითურთ მადრიდიდგან გაიქცა და ესპანიაში რევოლიუცია არისო. ჯერ ეხლაც, როცა ჩვენში მშვიდობა არის, ესპანიაში ომის მიზეზით ოკა პური ერთი შაურით გაძვირდა და ჩვენც რომ ომი გამოუცხადოთ ვისმე, მაშინ ხომ, ისეც ღატაკი ხალხი, სულ ერთიანად გაღატაკდებაო. დახეთ ილდიზ-კიოსკის მამობრივს მზრუნველობას. კიდევ ჩივიან, ოსმალონი გულ-მოწყალენი არ არიანო.

აგერ თქვენი ევროპა, აგერ თქვენი ცივილიზაცია და მისი მეთაური საფრანგეთი. რა ჰქმნა, ზოლას როგორ ცალ-მხრივად მიემხრო, რა რიგ დასაჯეს უდანაშაულო კაცი და ეხლა ჩხირკედელაობენ, რაო და, ასე კი არ უნდა გადაეწყვიტათ, აქედან კი არ უნდა დაეწყოთ საქმე, არა იქიდგანაო, ეს რომ ჩვენ გვიქნა, მაშინვე დაიყვირებდა იგივე საფრანგეთი „ბარბაროსი“, „ბარბაროსიო“. ასე გახარებულები არიან ოსმალებიც ზოლას საქმის გამო და ეს ამბავი ყველას სალაყბოდ გაუხდია.

პორტ-არტურისა და ტალიენვანის დაჭერასაც ხომ დიდი მნიშვნელობა ეძლევა. რუსეთმა ეს ისეთი ნაბიჯი გადასდგა, რომ ამას იქით ჩვენ ევროპა ბოლოკადაც არ მიგვაჩნია, მარტო რუსეთია დღეს ყველას სწორი და ჩვენც იმისკენ უნდა გავიშვიროთ ხელებიო, ასე გაიძახის ოსმალეთის ხალხი, მაგრამ რა გგონიათ, არც ერთი და არც მეორე არაფერს საქუქვლიანს არ მოასწავებს, ყოველივე ილდიზ-კიოსკის ხელშია და ყველანი მისი მონები არიან. ილდიზ-კიოსკიც თვალებს აღარ ჰხუჭავს, თუმცა ეძინება-კი ძალიან, რადგან აპრილის მშვენიერმა გაზაფხულის ცხოველ-მყოფელმა დღეებმა ისე დაჰღალა, რომ ერთი ლაზათიანი ძილი უკვდავების ნექტარია, მაგრამ არა უშავს რა, ზამთარს თუ როგორმე მიაღწიეს, ერთს ორად შეავსებენ. ამ რამდენისამე დღის წინად ილდიზის ბატონმა რუსეთში საუცხოვო საჩუქრები გაჰგზავნა თავიანთის ერთგულის ადიუტანტებითო, ამბობენ. მაგრამ რისთვის, არავინ იცის. „ასე ჩემო მანასეო, ხან ასე და ხან ისეო“. ამას ზედ ერთვის კიდევ ის ამბავი, რომ როგორცა სჩანს, მაკედონია და ბოლგარია დიდს მზადებაში არიან. აქ ჰფიქრობენ, რომ უეჭველად ომი უნდა მოხდეს რუსეთსა და ოსმალეთს შორისო. ეს ომი გაჩაღდება ბოლგარიასა და სერბიის საზღვარზედ და თუ ეს ხმა გამართლდა, ცუდი დღე დაგვადგება სტამბოლის მცხოვრებთ. ლუკმა პური საძებარი გაგვიხდება. ომი-კი უსათუოდ მოხდება, რადგან მაკედონია ცუდს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ამ დღეებში რუსეთის კონსული კინაღამ მოჰკლეს ბოლგარიაში, ოსმალების მიერ ერთის ქრისტიან ქალის მოტაცების მიზეზისა გამო, რომელიც უნდოდათ გაემაჰმადიანებინათ. ქალის დედ-მამამ თავიანთი უბედურება ელჩს შესჩივლეს, რომელიც გამოესარჩლა ქრისტიანთ, გადაარჩინა ქალი განსაცდელს და თვით-კი კინაღამ თავი არ შესწირა ფანატიკოსთ.

იასე რაჭველი

# უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** გაზეთებს არაფერი ცნობა არ მოსდით იმ ადგილებიდგან, სადაც ამერიკისა და ესპანიის ფლოტები სდგანან, ამიტომ დაწვრილებით არავინ არაფერი იცის იმათ შესახებ; თუმცა ყველანი იმ აზრისა არიან, რომ ეს ფლოტები ერთი-ერთმანეთს უახლოვდებიან და ამ დღეებში მათ შორის შეტაკება უეჭველად მოხდებაო. „სანჟუანთან რვა საათის ბრძოლის შემდეგ, სწერენ გაზეთები, ამერიკის ესკადრა ამ ქალაქის ნავთ-სადგურიდგან წავიდა, მაგრამ სად, დაწვრილებით არავინ იცის. ზოგის აზრით, ფლოტი წმ. თომას კუნძულისაკენ წავიდა, ზოგის კიდევ — მარტინიკისაკენ ესპანიის ფლოტთან შესაბრძოლებლად, რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ ეს ფლოტი მარტინიკაშიაო. ესპანიის ფლოტი მართლა უნახავთ მარტინიკთან, მაგრამ ის-კი აღარ იციან, ახლაც იქ არის თუ სხვაგან სადმე წავიდა. ასე თუ ისე, დაწვრილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ორივე ესკადრა ერთი-ერთმანეთზე შორს აღარ არის. ისინი კუბას, პორტო-რიკოს და მარტინიკის მახლობლად დასტურავენ და დღეს არა ხვალ შეხვდებიან ერთმანეთს“. მარტინიკი პატარა კუნძულია, საფრანგეთს ეკუთვნის და მდებარეობს სამხრეთ-ამერიკის ჩრდილოეთით, ხოლო კუბიდგან — აღმოსავლეთით. ამ კუნძულიდგან ჭავანამდე გემი ოთხ ხუთ დღეს მივა. კუნძული პორტო-რიკო კუბასა და მარტინიკას შუა მდებარეობს.

— გაზ. „Times“-ის კორესპონდენტი სწერს, რომ კი-ვესტში ესპანიის დარაჯებმა შეიპყრეს ორი ამერიკელი, ტრალლი და ჯონი, რომელნიც კუბის ნაპირზედ გადასხდნენ, რათა მეამბოხეთათვის შეეტყობინებინათ, რომ ნაპირზედ მათთვის სურსათი დამზადებული. ამერიკელები დაპატიმრებული არიან და ამ დღეებში მათ დახვრეტავენ კიდეც, თუ ინგლისის ელჩმა შუამდგომლობა არ გასწია და არ განათავისუფლა. კორესპონდენტი უმატებს, რომ კუბის ნაპირზედ ჯარის გადასხმა ისე ადვილი არა ყოფილა, როგორც ეს წინად ამერიკელებს ეგონათო.

— გაზეთების სიტყვით, იმ ამბავმა, რომ ესპანიის ესკადრა რამდენსამე დღეს მარტინიკში გაჩერდა და როგორც ამბობენ საჭირო ნახშირიც შეიძინა იქ, დიდად აღელვა შეერთებული შტატები. ეს კუნძული, როგორც უკვე ვსთქვით, საფრანგეთს ეკუთვნის, ამიტომ ამერიკელები ამბობენ, რომ საფრანგეთს ნება არ უნდა მიეცა ესპანელებისათვის მათი ესკადრა მარტინიკში გაჩერებულიყო. საფრანგეთის ასეთის საქციელის გამო, ამერიკის მთავრობამ გადასწყვიტა დიდი გადასახადი დაადოს იმ სავაჭრო საქონელს, რომელიც საფრანგეთიდგან შემოაქვთ. გარდა ამისა ბევრმა მდიდარმა ვაჭარმა და სავაჭრო ამხანაგობამ განაცხადა 1900 წლის პარიჟის მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობას არ მივიღებთო. ნიუ-იორკის მაღალის საზოგადოების ქალებმა დაადგინეს ნუღარ ვიყიდით საფრანგეთის საქონელს და მოსართავ ნივთებს, რომელიც პარიჟიდგან მოდისო.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, შეერთებულ შტატებს 4 მაისამდე დაუხარჯნია სულ 151,043,402 დოლარი (დოლარი 2 მანეთია). აქედგან ჯარის გადაყვანასა და ბინაზედ — 49,036,000 დოლ., ჯამაგირზედ — 62,033,000 დოლ., სურსათზედ — 15,633,000, მკურნალობაზედ — 800,000 დოლ. და

იმ ალაგისაკ. წიფლებმაც მოიხარეს ამაყად აშვერილი თავები. ცა წითლად მოიღრუბლა და სპეროზის და ამირანის კლდიან წვერებიდგან შავი ღრუბელი ვეშაპივით ჰქა ქუხილით ჩამოეშვა ძირს ხევისაკენ.—

— ეს რა კივილი მომესმა, სთქვა ბელადმა, როდესაც მოესმა კივილი.

— ძაღლი თუშის გოგო კივის, ამ ბიჭების დედა, ზიზღით წარმოსთქვა ერთმა ლეკთაგანმა.

— როგორ თუშის გოგო, წყრომით წამოიძახა ბელადმა, ცოცხალი გაუშვით განა? როგორ არ იცოდით, რომ იმის ცოცხლად გაშვება არ შეიძლებოდა. განა არ იცნობთ მაგ შეჩვენებულ ხალხს. ეხლავე ავარდება ტბათანაში, მაშინ თუშები წამოგვედევნებიან და დაღესტნამდინ არ მოგვეშვებიან...

— წადი ეხლავე, მიუბრუნდა ერთ ლეკს, და ბოლო მოუღე. ჩვენ აქ ჭალაში მოგიცდით. აბა ჩქარა, არ დაიგვიანო, ბრძანების კილოთი დაასრულა ბელადმა.

მივიდა ლეკი იმ საშინელ ალაგას და დაინახა გულ-მიხდილი დედაკაცი თუ არა, მივარდა, წამოსწია და ჰკრა ტარამდინ ხანჯალი გულში. სისხლი ფრქვევით გამოვიდა ჭრილობიდგან და შეუერთდა ცივს გელას სისხლს. სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ლეკმა დაინახა დედა-კაცის გულის მკერდს შემოვლებული ვერცხლის ჯაჭვი. ვერცხლის დანახვაზედ თვალები აუბრიალდა, მივარდა, ჩამოჰკრა ხანჯალი და ჩამოაცალა ხორციანად.

V

მზე კიდეც იწურებოდა. ხევების უფსკრული მოიჩრდილა და მთის წვერები ნისლით მოეხვია. ტყით მობურულ ნაქერლის მთის კალთაზე იჰქა თოფმა და მისი მჭეხარე ხმა გრგვინვით მოედო არე-მარე მთის კლდე-ღრეებს.

— ჩვენია, ძმაო, ჩვენი!

— მოხვდა?

— აბა გახედე იმ კლდის ძირს. ერთი სკუპის მეტი არ უქნია.

— ბარაქალლა, შეგრჩეს მარჯვენა!..

ამ სიტყვებით მივიდა ორი ჭაბუკი კლდის ძირს, სადაც ნადირი ხარხარით ებრძოდა სიკვდილს და ფეხებს აბარტყუნებდა კლდეს, რომლიდგანაც შხრიალით იშლებოდა შავი ქვიშა.

— ყანყრატოში გაუვლია ტყვიას.

— თვალს არ მოუტყუებივარ, თამამად წამოიძახა მსროლელმა.

ნატყვიარის სინჯვაში ნადირმა კიდეც დალია სული. შეუდგნენ გატყავებას და მორჩნენ თუ არა, გასჭრეს ორ ფეშხოდ, წამოიკიდეს თითომ თითო, და გაუდგნენ გზას ხორცით დატვირთულნი.

— საიდან უნდა მოდენილიყვნენ ის ლეკები, ჰკითხა ერთმა, რომ ვერაფერი ვერ გავიგეთ?

— კვალი პანკისიდგან გამოვიდა.

— პანკისს ყოფილიყვნენ, ხომ შევიტყობდით.

— ეჰ, ძაღლები არ არიან? ეგენი ხომ ტურებივით დაწანწალებენ მალულად. ალბად ვერა იშოვეს-რა და უკან გაბრუნდნენ. მაგათ ხომ სიარული არ ეზარებათ.

— ახ, ნეტავი გოგი დაბრუნდა ტბათაგანიდგან სადარაჯოში თუ არა? ჩვენ ლეკების დევნაში დავკარგეთ მთელი დღე და თუ არ დაბრუნებულა...

— როგორ თუ არ დაბრუნებულა, გააწყვეტინა ამხანაგმა, იმ პირობით წავიდა გუშინ, რომ დღეს შუადღისას მაინც უნდა ჩამოსულიყო.

მკითხველი მიხვდებოდა, რომ ეს ორი ჭაბუკი იყვნენ თუშების დარაჯები. დილით, როდესაც, ჩვეულებისამებრ, არე-მარეების დასათვალიერებლად წავიდნენ, ალაზნის გაღმა, ნაქერლის მთის ძირს შეამჩნიეს ლეკების კვალი. კვალი ნაქერლის მთაზედ მიდიოდა. მიზდიეს კვალს, მთის ნახევარ წელთამდე ავიდნენ და რა ნახეს, რომ იმათთვის საშიში მიმართულება არა ჰქონდა მტერს, ისევ უკან დაბრუნდნენ. გზაზედ შეხვდათ შველი, მოჰკლეს იგი და ნადირის ხორცით დატვირთულთ გასწიეს ბინისაკენ. გზაში ერთ ველში გამოვიდნენ და დაღალულები ერთ წიფლის ჩრდილოში დაისვენეს. დასხდნენ თუ არა, იქვე ახლო ტყის სიხშირეში გაისმა საზარელი კივილი.

— ვაიმე დედილო... ვაიმე!..

— ტყვეები!.. ლეკები!... წამოიძახეს ერთხმივ დარაჯებმა, და მოავლეს თოფებს ხელი, წამოსცვივდნენ და გადახტნენ ტყეში.

— დაიცა, დაიცა, შეაყენა ერთმა ამ საქმეში უფრო გამოცდილმა, ისე უნდა მიუახლოვდეთ, რომ არ გაგვიგონ. გამხმარ ხის შტოზედ ფეხი არ შესდგა.

მივიდნენ ფეხ-აკრეფით იმ ალაგას, საიდგანაც გაისმა ყვირილი, გაიხედ-გამოიხედეს — არავინ არა სჩანდა, არც რამე ხმაურობა ისმოდა.

— ასე ჩქარა სად უნდა დამალულიყვნენ ის ლორები, წამოიძახა ერთმა.

— ის-კი არა და რატომ ტყვეების ყვირილი აღარ ისმის.

— დაიცა, დაიცა!

— რა იყო.

— აქვე ახლო უნდა იყვნენ. აი იმ ღრეში ჯახუნი გაისმა. აბა მივიდეთ ფრთხილად.

ამ სიტყვებით მიუახლოვდნენ დარაჯები ღრეს და გაიხედეს თუ არა, დაინახეს უკანა ლეკი, რომელიც ხეს მოეფარა. ჩავიდნენ ღრეში და ამოსვლისას ერთმა მათგანმა მოსდო ფეხი გამხმარ ხის შტოს, რის გამოც შტომ ჭახუნი გამოიღო. გავიდნენ კიდეც ღრეს გაღმა. ჭახუნზე გამოიხედა უკანა ლეკმა და დაინახა თუშები თუ არა, „თუშ, თუშ!“ დაიძახა. იჰქა ამ დროს ორმა დარაჯის თოფმა, ხეების სიხშირის გამო ვერც ერთმა ვერ მოახვედრა. გამოუდგნენ ხმლებით, მაგრამ მტრის მაგიერად დაუხვდათ ორი პატარა ვაჟი მუცელ გამოფაშული, რომელნიც მილეულ ჩამქრალ თვალებით საშინელ წვალებით ებრძოდნენ სიკვდილს.

— დ..ე...ე...დი...ლო; მა...ა...მა...ვ!.. ეს იყო იმათი უკანასკნელი ამოკვნესა.

მკითხველი მიხვდებოდა, ვინც იყვნენ ეს ორი პატარა ვაჟი.

—

დრონი იცვალნენ. მაგრამ ის ბილიკი, რომელზედაც დატრიალდა გელას და მისის ოჯახის უბედურება, ისევ ისე არსებობს. მის ქვეშ ისევ ისევ მოჰქუხს ბაწარის წყალი — ეს უტყვი მოწმე იმ უბედურებისა. წოვა თუშებიც იმ ბილიკზევე დადიან და გასვლის დროს რომელიმე მოხუცი უამბობს ხოლმე პატარას: „აი, დაიხსომე, აქ, ამ ბილიკზედ, დახოცეს ლეკებმა გელა და მისი ცოლშვილიო“.

ივ. ბ—ლი

სხვ. ჰფიქრობენ, რომ შეიარაღებისა და ახალის ჯარის გაწყობისათვის 80,000 დოლ. კიდევ დაიხარჯებაო.

—

**იტალია.** სოციალისტთა დეპუტატებმა რომში მანიფესტი გამოსცეს, რომელშიაც უკმაყოფილებას უცხადებენ მთავრობას და ამბობენ, რომ მთავრობის წყალობით იტალიის ხალხი ქონებრივად უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდაო. მანიფესტის ავტორები მთავრობას იმ ბრალსა სდებენ, რომ მან აბაშეთთან ომის შემდეგ, იმ ზარალის აღსადგენად, რომელიც ამ ომის დროს მოუვიდა, დიდი გადასახადი დაადო ხალხს და ამით სიღარიბეში ჩააგდო. მანიფესტზედ ხელი უწერია თორმეტ დეპუტატს. საზოგადოდ მარტო სოციალისტები არა სდებენ ამ ბრალს მთავრობას. მთელი იტალია უკმაყოფილოა აწინდელის მთავრობით და იმის საშინაო პოლიტიკათ.

## სასამართლოს მატიანე

მასწავლებლის აზნ. დიმიტრი დუმბაძის საქმე

პარასკევს, 8 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ დაიწყო სოფ. ყვარელის სასწავლებლის უფროსის მასწავლებლის აზნ. დიმიტრი დუმბაძის საქმის გარჩევა, რომელსაც ბრალად ედება ამავე სასწავლებლის მასწავლებელ ქალის კლავდია შმაკოვის მოკვლის განზრახვა. სასამართლოს ჰთავმჯდომარეობდა მ. მ. შარიგინი, ბრალსა სდებდა ბრალმდებლის ამხანაგი ა. გ. რიბინი, იცავდა—ნაფიც ვექილის თანაშემწე მ. ო. გრუზენბერგი.

ამ საქმის გარემოება აი როგორაა ნაამბობი საბრალმდებლო ოქმში: სახალხო სასწავლებლების დირექციამ დაადგინა ცვლილება შემოიღოს ყვარელის სასწავლებელში, სახელდობრ: გააუქმოს ერთი ვაჟთა განყოფილება, სადურგლო, და დაარსოს დედათა საპროფესიონალო განყოფილება. ამ ცვლილებათა შემოღების გამო უკმაყოფილებას აცხადებდა ამ სასწავლებლის უფროსი მასწავლებელი აზ. დიმიტრი დუმბაძე, კაცი დიდად მხნე და ნიჭიერი და დიდი თავმოყვარე, რადგან მეორე მასწავლებლისა და ხელოსანის თანამდებობათა გაუქმებისა გამო, რომელთა ზედამხედაობაც დუმბაძესა ჰქონდა ჩაბარებული, და დამოუკიდებელ მასწავლებელის ქალის დანიშვნით მცირდებოდა იმის თანამდებობის უფლებანი. ეს უკმაყოფილებაო, ნათქვამია შემდეგ საბრალმდებლო ოქმში, უფრო მაშინ გაუძლიერდა, როცა გაიგო, რომ მასწავლებლად ნიშნავენ რუსს და არა ქართველ ქალსაო. დუმბაძემ არა მეგობრულად მიიღო ახლად დანიშნული მასწავლებელი შმაკოვისა, რომელიც იძულებული გახდა 2 კვირის შემდეგ საცხენისის სასწავლებლის ზედამხედველ ჩერკასოვთან ეჩივლა, რომ დუმბაძე ჩემს საქმეში ერევა და შეურაცხებას მაყენებსო. ამის შემდეგ დუმბაძემ დაუწყო არშიყობა შმაკოვისას და ყოველ საშუალებას ჰხმარობდა, რომ დაეახლოვებინა შმაკოვისა. წინადადება მისცა კიდეც, რომ ცოლად გამომყევიო: არსად-კი არ სთქვა, რომ მე მინდა შენზედ ჯვარი დავიწეროო, თორემ ხალხი გაიგებს და მომკლავს, რომ რუსის ქალი უნდა ცოლად შეირთოსო. ყოველ გვარმა ცდამ ამაოდ ჩაუარა და ის გარემოება, რომ დუმბაძე თავისუფლად ექცეოდა შმაკოვისას, იმის მიზეზი გახდა, რომ სასწავლებლის მოსწავლე ქალთა რიცხვი მეტად შემცირდა. 17 დეკემბერს, როდესაც ხალხს თავი მოეყარა სასწავლებლის ზედამხედველ ჩერკასოვთან, დუმბაძემ გამოუცხადა ზოგიერთ თავისს ნაცნობებს, რომ მე აზრადაც არ მომსვლია შმაკოვის ცოლად შერთვა, რადგან უკმაყოფილოდ იყო იმის გამო, რომ შმაკოვი არავისთან არა ჰმალავდა,—დუმბაძეს საპატარძლო ვარო. ამის შემდეგ დუმბაძესა და შმაკოვს შორის ყოველგვარი დამოკიდებულება მეტად გამწვავდა და ერთი-ერთმანეთს შეურაცხებასაც აყენებდნენ ხოლმე, რის გამოც დუმბაძე გადაყვანილ იქმნა სხვა სასწავლებელში. 16 იანვარს დუმბაძე რევოლვერით ხელში შმაკოვის ოთახში შევიდა, ხმა არ გასცა და პირდაპირ რევოლვერი ესროლა. ქალი ეცა დუმბაძეს და რევოლვერი უნდოდა წაერთმია. ბრძოლის დროს დუმბაძემ რამდენჯერმე ესროლა კიდევ რევოლვერი. შმაკოვისა ეცა ფანჯარას და ქუჩაში გადახტა.

გამოძიების დროს ლაპარაკი აღიძრა დუმბაძის სულიერ მდგომარეობის შესახებ. დედა ავადმყოფობდა ბნედით, მამა ალკოჰოლით მოიწამლა, ძმაც ბნედით იყო ავად და სხვა... ოლქის სასამართლოს განკარგულებით დუმბაძე გაგზავნილ იქმნა ტფილისის მიხეილის სულით ავადმყოფთა განყოფილებაში, სადაც მკურნალები თვალ-ყურს ადევნებდნენ 8 თვის განმავლობაში. მკურნალთ დუმბაძე პირველ ხანის სულით ავადმყოფად იცნეს. ოლქის სასამართლო არ დაეთანხმა ამ აზრს და დანიშნა დუმბაძის საქმის განხილვა. ბრალმდებლის წინადადებით საქმის განხილვაზედ დასასწრებლად მიწვეულ იქმნენ მკურნალები პავლოვსკი და ბაბაევი.

(შემდეგი იქნება)

## ნაკვესი

—

ერთი ქიზიყელი ცხენით მოდიოდა და ცხენი დაუვარდა, რადგანაც მეტად მძიმე ხურჯანი ეკიდა. ქიზიყელმა მოხსნა ხურჯინი, თავად გადაიკიდა, შეჯდა ცხენზედ და დაუწყო ცემა.

— აჩუ, შე გვრანო, ესლაც ხო შენ არა გკიდია ე ხურჯინიო!..

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საფრანგეთის ორს მეცნიერს—რიშესა და ტატენს გაუკეთებიათ ახალი ჰაეროპლანი, ანუ ჰაერში საფრენი მანქანა, ფრინველის მგზავსი. ამ მანქანას საკმაოდ დიდი ფრთები აქვს, რომელთაც პაწია, საგანგებოდ ამისათვის გაკეთებული ორთქლის მანქანა ამოძრავებს. პირველად ეს მანქანა სცადეს გასულ წელს. ჰაეროპლანი მშვენივრად ავიდა მაღლა, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ნაკლულევანებაც გამოაჩნდა. რიშემ და ტატენმა გადააკეთეს მანქანა და ხელმეორედ გამოსცადეს. გამოცდას დიდძალი ხალხი დაესწრო. ზოგი ამტკიცებდა, რომ მანქანა ძირს დაეშვაო, ზოგი კიდევ ამბობდა, ცოტათი მაღლა ავიდა და მერე დაეშვაო. უფრო მართალი ის არის, რომ მანქანა წინ წავიდოდა და მერე დაეშვებოდა. მანქანამ იფრინა სულ 7—8 წამს და გაიარა 70 საჟენი. სჩანს ერთს წამში 10 საჟენი გაუვლია. 7—8 წამის შემდეგ მანქანამ თავისს გზას აუხვია და მერე ძირს ჩამოვარდა. რიშე და ტატენი ამტკიცებენ, რომ შესაძლებელია ჰაეროპლანი ისე გაიმართოს, რომ კაცს შეეძლოს ფრენა, საითაც მოისურვებს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 მაისი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე ჩარიცხულ იქმნა მისის უდიდებულესობის ლეიბ გვარდიის კირასირთა რაზმის სიაში.

**ნიუ იორკი.** ამერიკის ჟურნალ-გაზეთობა ვერ არის კარგ გუნებაზედ. ერთი ნაწილი გაზეთებისა სწუხს ამერიკის უმოქმედობისა გამო; მეორე, პირ-იქით, შიშობს, რომ ვიდრე ყველაფერს დაამზადებენ მაკ-კინლეი მოქმედებაში არ ჩაითრიოს. ამბობენ, რომ პრეზიდენტი, სამხედრო მინისტრი, გენერლები მაილსი და მერრიტი ერთმანეთ შორის ვერ მორიგებულან და ვერ შეთანხმებულან ზოგიერთის საგნების შესახებ, რომელთაც დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვთო. რაც შეეხება კუბას, ყველა იმას ჰფიქრობს, რომ ამერიკა მოტყუვდა და ის იმედი, რომ გომეცი შესამჩნევ შეეწეობას აღმოუჩენდა მას, არ გაუმართლდა.

**ვერსალი.** ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ზოლას საქმე. სასამართლოს გარეშემო ცნობის მოყვარე ცოტაა. ჟურნალისტი ბევრია. ზოლა ისე მოვიდა, რომ არაფერი შემთხვევია. სასტიკი ზომებია მიღებული წეს-რიგის დასაცველად.

**პარიჟი.** არჩეულ იქმნა: 66 რესპუბლიკანელი-ლიბერალი, პროგრესისტი და რესპუბლიკის მომხრე მონარქისტი, 61 რადიკალი, 38 სოციალისტი და 10 მონარქისტი. რესპუბლიკანელთ და მათ მომხრე მონარქისტებს დააკლდა 30 ადგილი, ხოლო შეიძინეს ახალი 14; რადგანაც პირველ კენჭის ყრის დროს მათ შეიძინეს 10 ახალი ადგილი, ამიტომ დააკლდათ მხოლოდ 6; რადიკალთ დააკლდათ 18 ადგილი, შეიძინეს 20; სოციალისტებს დააკლდათ 9, შეიძინეს 16; მონარქისტებს დააკლდათ 3, შეიძინეს 10.

**ვერსალი.** სასამართლომ არ შეიწყნარა ლაბორის დასკვნა და გამოაცხადა, რომ ამ სასამართლოში შეიძლება გარჩეულ იქმნას ზოლას საქმეო. ლაბორიმ განაცხადა, რომ საკასაციო სასამართლოს მივმართავ იმის გამოსარკვევად შეუძლიან თუ არა ამ სასამართლოს ზოლას საქმის გარჩევაო. სასამართლოს წევრები მოსალაპარაკებლად გავიდნენ. კრების განახლებისას, ლაბორიმ ცხარე ლაპარაკი დაიწყო მართლ-მსაჯულობის შესახებ. თავმჯდომარემ აღუკრძალა სიტყვის წარმოთქმა, შემდეგ წაიკითხა სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ამ საქმის გარჩევა გადადებულ იქმნას იმ დრომდე, ვიდრე საკასაციო სასამართლო გადასწყვეტს შეუძლიან თუ არა ამ სასამართლოს ზოლას საქმის გარჩევა.

**პეკინი.** ჩინეთ-რუსეთის ბანკმა მოაწერა ხელ-შეკრულობის ჩჟინდინ-ტაიუენის რკინის გზის გაყვანის შესახებ. ხელ შეკრულება დამტკიცებულ იქმნა იმპერატორის მიერ.

**ნიუ-იორკი.** ჩიკამაუგიდგან იუწყებიან, რომ ჯარი დიდს ტანჯვაშია მოხელეების უთაურობისა გამო. მე-14 რაზმი, შიმშილით დასუსტებული, ნიუ-იორკში დაბრუნდა. შენახული სურსათი საკმაო არ არის უფროსების მოქმედება ერთმანეთს არ ეთანხმება

## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 მაისს 1898 წლისას.

(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. საზოგადოების კასსა . . . . . . . | 9057 | 74 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . | 46118 | 58 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . | 14744 | 78 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . . . | 2317 | 25 |
| V. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . | 165718 | — |
| VI. გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . 623—70 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 3647—— | | |
| გ) საქონელზედ . . . . . 8469—— | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 4517—73 | 17257 | 43 |
| VII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . . | 181 | 97 |
| VIII. მოწყობა-მომართვა . . . . . . . . | 885 | 17 |
| IX. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 13 | 47 |
| X. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . . | 357 | 62 |
| XI. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . . | 4177 | 77 |
| XII. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . | 280 | — |
| XIII. სათადარიგო თანხის სარგებლიან ქაღალდების სარგებელი . . . . . . . . . | 11 | 16 |
| ს უ ლ | 261120 | 94 |

**პასსივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 607 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . | 66156 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). . | 2403 | 19 |
| III. შემოტანილი ფული: | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . 77602—76 | | |
| ბ) ვადით . . . . . . . . 79700—— | | |
| გ) უვადოდ . . . . . . . . 600—— | 157902 | 76 |
| IV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | 2830 | 50 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . | 121 | 33 |
| VI. გადაგირავება თამასუქებისა. . . . . . | 16850 | — |
| VII. სარგებელი განსაკუთრებულის მიმდინარე ანგარიშისა აზოვო-დონის საკომერციო ბანკის ტფილისის განყოფ. უზრუნველ-ყოფილი თამასუქებით | 9027 | 28 |
| VIII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . | 13 | 71 |
| IX. მიღებული სარგებელი, გარდახდილს გარდა . . | 5366 | 17 |
| X. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად . . . . . . . . . . | 450 | — |
| ს უ ლ | 261120 | 94 |
| პასუხის-მგებლობა 607 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . | 595404 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . | 6900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . | 950 | — |

(1—ნ.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 12-го Мая 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.